გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №10

2023 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმდა №4 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1351,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.31.312) მყიდველი ვალდებული იყო აეშენებინა სასტუმრო და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ნადეჟდა მომცემლიძის 2021 წლის 25 იანვრის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ შენობა ფქტობრივად დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ შიდა სამუშაოები (შიდა კომინიკაციის საშუალებების მოწყობა, მოსაპირკეთებელი სამუშაოები და ტერიტორიის მოწყობა). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ, ძირითადი სამუშაოები უნდა შესრულებულიყო შიდა ტერიტორიაზე, მუშების დახურულ სივრცეში ერთად ყოფნა კი წარმოადგენდა რისკფაქტორს 2020 წლის მარტიდან არსებული პანდემიიდან გამომდინარე, ასევე, პანდემიიდან გამომდინარე საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში დახურული იყო სამშენებლო მასალების მაღაზიები და სავაჭრო ცენტრები, რამაც ხელი შეუშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნადეჟდა მომცემლიძე ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და „ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 თებერვლის N24 განკარგულების საფუძველზე,

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობა და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1351,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.31.312) სასტუმროს აშენების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადა.

2021 წლის 21 დეკემბერს №19/202135546-03 განცხადებით ნადეჟდა მომცელიძემ მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შენობის კონსტრუქციული ნაწილის შიდა და გარე კედლები მოწყობილია, ასევე მოწყობილია შიდა საკომუნიკაციო ქსელები. მიმდინარეობს ფასადის მოპირკეთებისა და შიდა სარემონტო სამუშაოების წარმოება, უახლოეს მომავალში დაიწყება ტერიტორიის მოპირკეთების სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნადეჟდა მომცემლიძე ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და „ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N13 განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობა და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1351,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.31.312) სასტუმროს აშენების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადა.

2022 წლის 13 დეკემბერს №19/202234729-20 განცხადებით ნადეჟდა მომცელიძემ მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით შენობა (3 სართულიანი სასტუმრო 30 ნომრით) აშენებულია, ამჟამად მიმდინარეობს შიდა სამუშაოების წარმოება, ერთი წლის წინ განახორციელა პროექტის ცვლილება, რის ფარგლებშიც დამეატა კიბის უჯრედის და 10 ნომრის მოწყობის სამუშაოები, რამაც წაიღო დიდი დრო, ასევე, დაემატა სახანძრო უსაფრთხოების სამსახურიდან წყლის ავზის მოწყობის სამუშაოები, რომელიც მოეწყობა სასტუმროს ეზოში (30 ტონა), მოეწყობა ბეტონის კონსტრუქცია მიწის საფარის ქვეშ. ამჟამად მიმდინარეობს კონსტრუქციული ნახაზის შედგენა-ექსპერტიზა. განმცხადებელმა მოითხოვა ზემოაღნიშნული ვადის გაგრძელება კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1351,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.31.312) სასტუმროს აშენების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნადეჟდა მომცელიძეს შორის 2019 წლის 5 თებერვალს გაფორმებული №4 ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, დასახლება ჭალის, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1351,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.31.312) სასტუმროს აშენების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**